



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.თბილისი

N 241  
26/10/2021

241-01-4-202110261611



**სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შიდა გავრცელების აღსაკვეთად, დასაქმებულთა და მოქალაქეთა შენობაში დაშვების და ყოფნის დროებითი წესების და პირობების განსაზღვრის შესახებ**

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილს N1-1/583 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ვირუსის შიდა გავრცელების თავიდან აცილების და ინფიცირების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, სააგენტოს შენობაში დაიშვებიან:

ა) დასაქმებულები, რომლებიც წარმოადგენენ კოვიდ - ვაქცინის სრული ან ერთი კურსის ჩატარების დამადასტურებელ დოკუმენტს ერთჯერადად ან ასეთის არ ქონის შემთხვევაში, ბოლო 72 საათში ჩატარებული პისიარ (PCR) კვლევის დამადასტურებელ დოკუმენტს უარყოფითი შედეგით, ან ბოლო 24 საათში ჩატარებული სწრაფი ანტიგენის ტესტის დამადასტურებელ დოკუმენტს უარყოფითი შედეგით; აგრეთვე, ბოლო 6 თვის განმავლობაში ვირუსისგან გამოჯანმრთელებული დასაქმებულები, რომლებიც ერთჯერადად წარმოადგენენ COVID-19-ის ტესტის დადებითი პასუხს და მათი იზოლაციიდან გასული იქნება თოთხმეტი დღე.

ბ) ფიზიკური პირები სააგენტოსთვის მიმართვის უფლებით სარგებლობის, წინასწარ განსაზღვრულ სხდომებში, შეხვედრებში მონაწილეობის, დედნის სახით დოკუმენტების წარმოდგენის/მიღების ან სხვა აუცილებელი მიზნებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ კოვიდ - ვაქცინის სრული ან ერთი კურსის ჩატარების დამადასტურებელ დოკუმენტს ან ასეთის არ ქონის შემთხვევაში, ბოლო 72 საათში ჩატარებული პისიარ (PCR) კვლევის დამადასტურებელ დოკუმენტს უარყოფითი შედეგით ან ბოლო 24 საათში ჩატარებული სწრაფი ანტიგენის ტესტის დამადასტურებელ დოკუმენტს უარყოფითი შედეგით.



- პირი არ დაიშვება სააგენტოს სამუშაო სივრცეში, თუ შენობის მისაღებში ჩატარებული სავალდებულო თერმოსკრინინგის დროს აღმოაჩნდება 37°C და უფრო მაღალი ტემპერატურა.
- სააგენტოს შენობაში ყოფნა დასაშვებია ვირუსისგან დამცავი ნიღბების (პირბადე) გამოყენებით.
- დასაქმებულებს, რომელთაც აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ტემპერატურა, ხველა, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) ეკრძალებათ სამუშაო ადგილზე გამოცხადება სრულ გამოჯანმრთელებამდე და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, გადადიან დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე.
- დასაქმებულებს, რომელთაც დადასტურებულად აღმოაჩნდებათ კონტაქტი კორონავირუსით ინფიცირებულ პირთან, ეკრძალებათ სამსახურში გამოცხადება ჯანდაცვის უწყებების მიერ რეკომენდირებული პერიოდის გასვლამდე.
- ამ ბრძანების მოქმედების ვადაში, შეჩერდეს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 13 მაისის N86 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შინაგანაწესის მოქმედება იმ ნაწილში, რომელიც ეწინააღმდეგება დასაქმებულთა და მოქალაქეთა შენობაში დაშვების და ყოფნის წინამდებარე დროებით წესებს და პირობებს.
- ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ, წინამდებარე ბრძანების საფუძველზე წარმოსადგენი დოკუმენტების აღრიცხვა, კონტროლი და მონიტორინგი.
- ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 ნოემბრიდან.

ლევან კარანაძე

დირექტორი

ხელმძღვანელობა

